აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 3

20 მაისი 2005 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტისა და 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის მირზა სუქნიშვილის ნაცვლად (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 17 მაისი №10 დადგენილება) ცნობილ იქნეს მისი უფლებამონაცვლის "ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიით რიგით მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის თეიმურაზ ცეცხლაძის უფლებამოსილება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე /ი. ფაღავა/

კომისიის მდივანი /ქ. ჯიქია/